



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

30 იანვარი 2024 წელი

N 4/36

გვ. N 1

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ
განხორციელებული პროექტის – „მცენარეთა დაცვის
სისტემის ინიციატივა“
2022 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 1 აპრილამდე
პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩატარა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტის – „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“ დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტი. პროექტს აფინანსებს საქართველოს მთავრობა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ახორციელებს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

აუდიტი ჩატარდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს (SAOG) შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში და მოიცავს 2022 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდს.

ფინანსური აუდიტის მიზანი იყო შემდეგი:

- მოსაზრების გამოხატვა იმის შესახებ, რომ „ხარჯების ანგარიშგება“ USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში წარმოდგენილია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, საერთაშორისოდ აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად;
- სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის შეფასება, კონტროლის რისკის შეფასება და მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების დადგენა არსებითი სისუსტეების ჩათვლით;
- მხარეთა მიერ განხორციელებული ფინანსური წვლილის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის მიმოხილვა იმის დასადგენად, განახორციელა და აღრიცხა თუ არა სააგენტომ შეტანილი ფინანსური წვლილი შეთანხმების პირობების შესაბამისად;
- აუდიტორული პროცედურების ჩატარება იმის დასადგენად, რამდენად შეესაბამება პროექტის ფარგლებში სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, პროექტის შეთანხმების პირობებს, შესაბამის კანონებსა და რეგულაციებს.

სარჩევი

ტერმინები და შემოკლებები	3
შესავალი	4
აუდიტის მეთოდოლოგია	6
მოსაზრება	7
1. მნიშვნელოვანი გარემოებები	8
2. სხვა საკითხები	9
ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	13
„ხარჯების ანგარიშგება“ და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	15
ინფორმაცია სააგენტოს მიერ განხორციელებული ფინანსური	
წვლილის შესახებ	17
საკონტაქტო ინფორმაცია	19

ტერმინები და შემოკლებები

გრანტის მიმღები - სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

პროექტი - მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტი.

პროექტის განხორციელების წერილი – წერილი N14. დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროცედურებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის“ განხორციელებასთან დაკავშირებით.

სააგენტო – სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

ხარჯების ანგარიშგება – სააგენტოს მიერ მომზადებული და USAID-ისთვის წარდგენილი ინფორმაცია მიღებული დაფინანსების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ.

USAID – აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო.

CFR part 200 - აშშ-ის ფედერალური რეგულაციების კოდექსის ნაწილი 200 (U.S. Code of Federal Regulations part 200).

შესავალი

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის საფუძველზე.

მცენარეთა დაცვის სფეროში სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- მცენარეთა დაცვის უზრუნველსაყოფად კონტროლის განხორციელება;
- მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- მცენარეთა საკარანტინო ღონისძიებების ორგანიზება;
- მავნე ორგანიზმის გავრცელებასა და განვითარებაზე დაკვირვება, მავნე ორგანიზმის გამოვლენა და მისი დიაგნოსტიკის უზრუნველყოფა;
- საკარანტინო მავნე ორგანიზმების ნუსხის შემუშავება;
- მავნე ორგანიზმის მასობრივი გავრცელებისა და განვითარების პროგნოზირება და სხვ.

ფიტოსანიტარიული მიმართულებით სისტემური ცვლილებების განხორციელებისა და განვითარების მიზნებისათვის, სააგენტო თანამშრომლობს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან. დასახული მიზნების მისაღწევად USAID-ისგან სააგენტო იღებს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას.

2015 წლის 22 დეკემბერს საქართველოს და აშშ-ის მთავრობებს შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების საფუძველზე,¹ სააგენტოსა და USAID-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება,² რომლის მიზანია იყო მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის განხორციელება, ჯამური ბიუჯეტით – 1,846,250 აშშ დოლარი, საიდანაც USAID-ის დაფინანსება – 1,200,000 აშშ დოლარს, ხოლო საქართველოს მთავრობის დაფინანსება – 646,250 აშშ დოლარს შეადგენს.


პროექტის მიზანია მცენარეთა სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ფუნქციების შესრულებისას, სააგენტოს და მისი მხარდამჭერი სამთავრობო უწყებების გაუმჯობესებული ადმინისტრაციული, საორგანიზაციო და ტექნიკური უნარების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა.

პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სააგენტოს შესაძლებლობა, გამოავლინოს აგრარულ სფეროში არსებული და პოტენციური რისკები მავნებლებთან დაკავშირებით. აღნიშნული, სააგენტოს საშუალებას მისცემს უზრუნველყოს მავნებლებთან ბრძოლის მიმართულებით უფრო დროული რეაგირება.

აუდიტი მოიცავს 2022 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდს. აღნიშნულ პერიოდში USAID-ის მიერ დაფინანსებულმა ხარჯების ჯამმა – 549,431 აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებულმა ხარჯებმა 406,710 აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანად პროექტის ფარგლებში, 2021 წლის 2 თებერვლიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, USAID-ის მიერ დაფინანსებულმა ხარჯების ჯამმა – 1,105,761 აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებულმა ხარჯებმა 1,005,812 აშშ დოლარი შეადგინა.

აუდიტის შესამოწმებელ პერიოდში USAID-ის მიერ დაფინანსებული კვარტალური ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკში N1.³

გრაფიკი N1. 2022 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდის კვარტალური ფაქტობრივი ხარჯები აშშ დოლარში



აუდიტის პერიოდში USAID-ის მიერ დაფინანსებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში N1.

ცხრილი N1. 2022 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდის ფაქტობრივი ხარჯები კლასიფიკაციის მიხედვით აშშ დოლარში

ხარჯების კლასიფიკაცია	01.04.2022 01.04.2023
შრომის ანაზღაურება	166,191
სამეთვალყურეო და მავნებლების რისკის ანალიზის (PRA) პროგრამული უზრუნველყოფა	118,333
მავნებლების მეთვალყურეობის მასალები (ფერომონები)	92,978
ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების ორგანიზება	71,630
სინჯის აღება და ლაბორატორიული ანალიზი მავნებლების იდენტიფიცირებისთვის	58,160
საზოგადოებასთან ურთიერთობა, კომუნიკაცია	42,139
სულ ხარჯი:	549,431

¹ გრანტის ხელშეკრულება N AAG-114-G-16-00002.

² განხორციელების წერილი N14.

³ სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით.

აუდიტის მეთოდოლოგია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტი ჩაატარა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) და მასზე დაყრდნობით შემუშავებული ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- წინასწარი აუდიტორული პროცედურები;
- სტრატეგიული დაგეგმვა;
- დეტალური დაგეგმვა;
- ადგილზე შესასრულებელი სამუშაო;
- დასკვნა და ანგარიშგება.

წინასწარი აუდიტორული პროცედურების ეტაპზე აუდიტის ჯგუფმა შეაფასა „ხარჯების ანგარიშგების“ მომზადების საფუძველი, ასევე ჩაატარა შეხვედრა აუდიტის ობიექტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან. აუდიტორული პროცედურების განხორციელება დაიწყო აუდიტის წერილის საფუძველზე;

სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპზე აუდიტის ჯგუფის მიერ მოხდა რისკების იდენტიფიცირება და შეფასება. ამასთანავე, შემუშავდა აუდიტის სტრატეგია, რომელიც მოიცავს აუდიტის მასშტაბის, ვადების და მიმართულების შესახებ ინფორმაციას;

დეტალური დაგეგმვის ეტაპზე აუდიტის ჯგუფმა შეაფასა შიდა კონტროლის გარემო, განსაზღვრა შესაბამისი ძირითადი აუდიტორული პროცედურები და მათი ხასიათი, ვადები და მოცულობა;

ადგილზე შესასრულებელი სამუშაოების ეტაპზე აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, დოკუმენტური შემოწმების, დათვალიერების, გამოკითხვის, დადასტურების და ისეთი აუდიტორული პროცედურების ჩატარებით, როგორიცაა:

- ძირითადი ანალიზური პროცედურები;
- ელემენტების ტესტები.

აუდიტორული პროცედურების შედეგებიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა შეაფასა უზუსტობები და მოამზადა აუდიტის ანგარიში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

არამოდიფიცირებული მოსაზრება „ხარჯების ანგარიშგების“ შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული და USAID-ის მიერ დაფინანსებული მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის – „ხარჯების ანგარიშგების“ ფინანსური აუდიტი 2022 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდისთვის.

პროექტის „ხარჯების ანგარიშგების“ მომზადება წარმოადგენს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას. ჩვენი პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე „ხარჯების ანგარიშგებაზე“ მოსაზრების გამოხატვა.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად და აშშ-ის საერთაშორისოდ აღიარებული საჯარო აუდიტის სტანდარტების (GAGAS) მოთხოვნების გათვალისწინებით. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია არამოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს „ხარჯების ანგარიშგება“ ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეთანხმების პირობების შესაბამისად, სამართლიანად ასახავს ინფორმაციას პროექტის შემოსავლების, გაწეული და ანაზღაურებული ხარჯების, შესყიდული საქონლის და ტექნიკური დახმარების შესახებ.

ჩვენ ასევე შევაფასეთ პროექტთან დაკავშირებული სააგენტოს შიდა კონტროლის სისტემა და განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა შეთანხმების პირობებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან. შედეგები მოცემულია ცალკე ქვეთავების სახით და წარმოადგენს წინამდებარე ანგარიშის განუყოფელ ნაწილს.

1. მნიშვნელოვანი გარემოებები

1.1 შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული არაარსებითი ცდომილებები

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ქვემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით:

პროექტის განხორციელების წერილით განსაზღვრულია პროექტის ფარგლებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, პოზიცია და ხელფასის ოდენობები. აუდიტის მიმდინარეობისას გამოვითხოვეთ პროექტში ჩართული ყველა პირის შრომითი ხელშეკრულება და შევადარეთ პროექტის განხორციელების წერილის პირობებს. ასევე, დადგენილი შრომის ანაზღაურების გაცემის წესის შესაბამისად, გადავიანგარიშეთ პერიოდის შესაბამისი შრომის ანაზღაურების ხარჯები და შევადარეთ „ხარჯების ანგარიშგებაში“ ასახულ მონაცემებს; ასევე „ხარჯების ანგარიშგებაში“ ასახული მონაცემების სისრულისა და სიზუსტის შემოწმების მიზნით, პროექტის განხორციელების შესაბამისი პერიოდის ხაზინის ამონაწერების თითოეული ტრანზაქცია შევადარეთ „ხარჯების ანგარიშგებაში“ ასახულ მონაცემებს.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული შემდეგი უზუსტობა:

გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, პროექტის ფარგლებში დასაქმებული რეზიდენტი მრჩევლის ოქტომბრის თვის მომსახურების საფასური შეადგენდა 7,616 აშშ დოლარს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ოქტომბრის თვეში რეზიდენტი მრჩევლისთვის ანაზღაურებულია 8,964 აშშ დოლარი,⁴ ნაცვლად ხელშეკრულებით განსაზღვრული – 7,616 აშშ დოლარისა.

შესამოწმებელ პერიოდში, პროექტის ფარგლებში დასაქმებული რეზიდენტი მრჩევლის ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული, რის შედეგად 1,348 აშშ დოლარი ანაზღაურებულია შესაბამისი საფუძვლის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის ანგარიშის მომზადების თარიღისთვის ზედმეტად ანაზღაურებული თანხა რეზიდენტი მრჩევლის მიერ დაბრუნებულია სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე.

⁴ ანაზღაურებულია წინა თვეში (სექტემბერში) მოქმედი ხელშეკრულების შესაბამისი შრომის ანაზღაურება.

2. სხვა საკითხები

2.1 შიდა კონტროლის სისტემა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული და USAID-ის მიერ დაფინანსებული მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის „ხარჯების ანგარიშგების“ ფინანსური აუდიტი 2022 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდისთვის.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAIs) და აშშ-ის საერთაშორისოდ აღიარებული საჯარო აუდიტის სტანდარტების (GAGAS) მოთხოვნების გათვალისწინებით. აუდიტის დაგეგმვისა და განხორციელებისას, გავითვალისწინეთ სააგენტოს შიდა კონტროლის გარემო, რომელიც მოქმედებს ფინანსურ აღრიცხვაზე (შიდა კონტროლი), რათა გამოგვეთქვა მოსაზრება „ხარჯების ანგარიშგებაზე“ და არა სააგენტოს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

შიდა კონტროლის სისტემაში ხარვეზები არსებობს, მაშინ როდესაც კონტროლის შინაარსი, ან საოპერაციო ეფექტიანობა არ აძლევს საშუალებას მენეჯმენტს ან თანამშრომელს, მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, თავიდან აიცილოს, გამოავლინოს და გამოსწოროს შეუსაბამოები დროულად. არსებითი ნაკლოვანება არის ნაკლოვანება ან მათი ერთობლიობა, რომლის შედეგად არსებობს შესაძლებლობა, რომ „ხარჯების ანგარიშგებაში“ არსებითი შეცდომა ვერ იქნება თავიდან აცილებული ან გამოვლენილი და შესწორებული დროულად.

შიდა კონტროლის სისტემა შევადგასეთ ზემოაღნიშნული შეზღუდული მიზნისთვის და არ იყო გამოჩენილი კონტროლის ყველა ნაკლოვანების აღმოსაჩენად, როგორც ეს აღწერილია მეორე აბზაცში. შედეგად, აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, არ გამოვლენილა შიდა კონტროლის არსებითი ნაკლოვანებები.

2.2 შეთანხმების პირობებთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გარეშე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული და USAID-ის მიერ დაფინანსებული მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის „ხარჯების ანგარიშგების“ ფინანსური აუდიტი 2022 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდისთვის. ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ მხარეთა მიერ განხორციელებული ფინანსური წვლილის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად და აშშ-ის საერთაშორისოდ აღიარებული საჯარო აუდიტის სტანდარტების (GAGAS) მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აუდიტს ვგეგმავთ და ვატარებთ დასაბუთებული რწმუნების მოსაპოვებლად, რომ „ხარჯების ანგარიშგებაში“ არ არის ის არსებითი უზუსტობები, რომლებიც გამოწვეულია შეთანხმების პირობების, მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შეუსაბამობით.

შეთანხმების პირობებთან, კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის დაცვა სააგენტოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა. დასაბუთებული რწმუნების მისაღებად ჩატარდა პროცედურები შეთანხმების პირობებთან, კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის იმ ნაწილის დასადასტურებლად, რომლებსაც გავლენა ჰქონდა „ხარჯების ანგარიშგებაზე“. აუდიტის მიზანი არ იყო მოსაზრების გამოხატვა სრული შესაბამისობის შესახებ, შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ ასეთ მოსაზრებას.

2.2.1 პროექტის განხორციელების წერილის პირობებთან შესაბამისობა, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გარეშე

აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა პროექტის განხორციელების წერილით განსაზღვრული ყველა მოვალეობა, რომლებიც უნდა შეესრულებინა სააგენტოს; ასევე შემოწმდა ყველა დოკუმენტი, წარდგენილი ფორმა და კორესპონდენცია იმისათვის, რომ დადასტურებულიყო განხორციელების წერილის პირობებთან შესაბამისობა.

მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია აუდიტის შედეგად გამოვლენილი პროექტის განხორციელების წერილის მოთხოვნებთან არსებული არაარსებითი შეუსაბამობები.

კვარტალური მუშაობის ანგარიშები

პროექტის განხორციელების წერილის მიხედვით, კვარტალური მუშაობის ანგარიშები გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 30 დღის ვადაში.

გრანტის მიმღების მიერ 2022 წლის მეექვსე კვარტალის⁵ ანგარიში წარდგენილია 31 დღის დაგვიანებით, ხოლო მეშვიდე კვარტალის⁶ ანგარიში – 12 დღის დაგვიანებით.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული კვარტალების მუშაობის ანგარიშების წარდგენის თარიღები არ შეესაბამება პროექტის განხორციელების წერილით დადგენილ ვადებს.

საავანსო ანაზღაურების მოთხოვნის ფორმები

გრანტის მიმღების თხოვნის შემთხვევაში, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ შესაძლოა გასცეს ავანსი მომდევნო 30 დღის განმავლობაში განსახორციელებელი საქმიანობების დასაფინანსებლად. საავანსო ანაზღაურების მოთხოვნის ფორმა⁷ მომდევნო თვისთვის წარდგენილი უნდა იყოს მიმდინარე თვის 10 რიცხვამდე.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საავანსო ანაზღაურების მოთხოვნის ფორმების გაგზავნის თარიღები 2022 წლის აპრილიდან 2023 წლის მარტის ჩათვლით არ შეესაბამება განხორციელების წერილით დადგენილ ვადებს. ინფორმაცია საავანსო ანაზღაურების მოთხოვნის ფორმების გაგზავნის ვადების დარღვევებზე წარმოდგენილია ცხრილში N2.

ცხრილი N2. ინფორმაცია საავანსო ანაზღაურების მოთხოვნის ფორმების გაგზავნის ვადების დარღვევებზე

პერიოდი	ვადა	წარდგენის თარიღი	ვადაგადაცილება (დღეები)
2022 აპრილი	10.03.2022	21.03.2022	11
2022 აგვისტო	10.07.2022	08.08.2022	29
2022 დეკემბერი	10.11.2022	17.11.2022	7
2023 მარტი	10.02.2023	28.02.2022	18

შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, საავანსო ანაზღაურების მოთხოვნის ფორმების გაგზავნის თარიღები, 2022 წლის აპრილიდან 2023 წლის მარტის ჩათვლით, არ შეესაბამება პროექტის განხორციელების წერილით დადგენილ ვადებს.

⁵ 2022 წლის მაისი-აგვისტო.

⁶ 2022 წლის აგვისტო - ნოემბერი.

⁷ საავანსო ანაზღაურების მოთხოვნის ფორმა 1034.

ავანსების განულების ფორმები

პროექტის განხორციელების წერილის მიხედვით, ყოველი კვარტლის ბოლოს გრანტის მიმღები წარადგენს წინა სამი თვის განმავლობაში მიღებული ავანსების განულების ფორმას. ავანსების განულების ფორმა წარდგენილი უნდა იყოს კვარტლის დასრულების შემდგომი თვის 15 რიცხვამდე.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2023 წლის იანვარსა და აპრილში ავანსების განულების ფორმები წარდგენილია დაგვიანებით. კერძოდ, ავანსის განულების ფორმა ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდისთვის წარდგენილია – 8 დღის, ხოლო იანვარი-მარტის პერიოდისთვის – 10 დღის დაგვიანებით.

შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ავანსის განულების ფორმების გაგზავნის თარიღები, 2022 წლის აპრილიდან 2023 წლის მარტის ჩათვლით, არ შეესაბამება პროექტის განხორციელების წერილით დადგენილ ვადებს.

2.2.2

კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გარეშე

შეუსაბამობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონთან:

აუდიტის პერიოდში სააგენტომ სულ გააფორმა 32 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. აქედან, 14 ხელშეკრულება – ელექტრონული ტენდერით, რომლის ფარგლებშიც გადახდილია 183,203 აშშ დოლარი,⁸ ხოლო 18 ხელშეკრულება – გამარტივებული შესყიდვის წესით, რომლის ფარგლებშიც გადახდილია 139,602 აშშ დოლარი.⁹

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს.

შესწავლის შედეგად, რამდენიმე შესყიდვის შემთხვევაში გამოვლინდა შეუსაბამობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან მიმართებით, რაც დეტალურად აღწერილია ქვემოთ:

სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა

კრიტერიუმი: იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. სატენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით.¹⁰

ფაქტობრივი გარემოება: მავნე მწერების ფერომონიანი დამჭერების შესყიდვაზე 2022 წლის აპრილსა და მაისში გამოცხადებული ტენდერების¹¹ ფარგლებში, პრეტენდენტის¹² მიერ წარმოდგენილი პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური ვებგვერდის ელექტრონული მისამართი არ მოიცავდა

⁸ ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება – 537,488 ლარი.

⁹ ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება – 367,358 ლარი.

¹⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 27-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები.

¹¹ NAT220009223; NAT220007339; NAT220009490.

¹² შპს „ნოვაგრო“ მიჩნეულია გამარჯვებულად სამივე ტენდერში და მასთან გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება.

ინფორმაციას პროდუქციის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ, რაც მოთხოვნილი იყო სატენდერო დოკუმენტაციის¹³ მიხედვით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული ვებგვერდის მისამართი სატენდერო კომისიის მიერ მიჩნეულია რელევანტურად და მოთხოვნილი არ არის დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2.3 წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა

USAID-ის მიერ დაფინანსებული და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტის – „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“ 2021 წლის 2 თებერვლიდან 2022 წლის 1 აპრილამდე პერიოდის ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, შესყიდული მარაგების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მნიშვნელოვანია დაადგინოს შესყიდული ფერომონების ვარგისიანობის რეალური ვადები და მათი გამოყენება მოხდეს შესაბამის თარიღებამდე. ამასთანავე დანერგოს შესყიდული პროდუქციის ვადებზე სათანადო კონტროლის მექანიზმები.“

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში შესწავლილია წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა. სააგენტოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მარაგების ის ნაშთები, რასთან დაკავშირებითაც გაცემული იყო რეკომენდაცია, გამოყენებულია მათი ვარგისიანობის შესაბამის ვადებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოზე გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

¹³ წარმოდგენილი უნდა იქნეს მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური ვებგვერდის ელექტრონული მისამართი, სადაც შემსყიდველი შეძლებს პრეტენდენტის შემოთავაზებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლების გადამოწმებას, ტექნიკური დავალების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (NAT220007339 - პუნქტი 2.7.1.3; NAT220009223, NAT220009490 - პუნქტი 2.7.1.2).

ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები „ხარჯების ანგარიშგების“ დოკუმენტთან დაკავშირებით

გრანტის მიმღები ორგანიზაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მიღებული დაფინანსების შესაბამისი „ხარჯების ანგარიშგების“ და იმ განმარტებითი შენიშვნების მომზადებაზე, რომლებიც აღწერს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც გამოიყენება „ხარჯების ანგარიშგების“ მომზადებისას;¹⁴ ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი „ხარჯების ანგარიშგების“ მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა „ხარჯების ანგარიშგებასთან“ დაკავშირებით

ჩვენ პასუხისმგებლობაა მოსაზრების გამოხატვა „ხარჯების ანგარიშგებაზე“. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს, რომ ჩვენ ვასრულებთ ეთიკურ მოთხოვნებს, ვგეგმავთ და ვახორციელებთ აუდიტს, რათა მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ „ხარჯების ანგარიშგება“ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა „ხარჯების ანგარიშგება“ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით და GAGAS-ების მოთხოვნების გათვალისწინებით ჩატარებული აუდიტი, ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ „ხარჯების ანგარიშგების“ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად და GAGAS-ების მოთხოვნების გათვალისწინებით ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

ვახდენთ „ხარჯების ანგარიშგებაში“ არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

¹⁴ CFR 200.504 – Point 2.

ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას; ვასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სააგენტოს უნარში, განაგრძოს ფუნქციონირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის, თუმცა მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სააგენტოს ფუნქციონირებადობის საკითხი;

ვაფასებთ „ხარჯების ანგარიშების“ წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა „ხარჯების ანგარიშება“ ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სააგენტოს ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება „ხარჯების ანგარიშებაზე“. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები

ანა ბურდიაშვილი
წამყვანი აუდიტორი

ლიზი ცივაძე
აუდიტორი

დავით ზაბახიძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა

ა. ბურდიაშვილი

ლიზი ცივაძე

დავით ზაბახიძე

**„ხარჯების ანგარიშგება“
და ახსნა-განმარტებითი
შენიშვნები**

მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის „ხარჯების ანგარიშგება“
აშშ დოლარში

მუხლი	შეთანხმებული ბიუჯეტი	ფაქტობრივი შემოსავალი და ხარჯი	მილიანი ფაქტ- შემოსავალი და ხარჯი	პრობლემური ხარჯები		შენიშვნა
	02/02/2021 - 01/04/2023	01/04/2022 - 01/04/2023	02/02/2021 - 1/04/2023	არანებადართული	დოკუმენტაციის არ მქონე	
ფულის საწყისი ნაშთი		207,379	-			
შემოსავლები						
USAID-ის დაფინანსება	1,200,000	398,340	1,162,049			N2
პროექტის შემოსავალი		-	-			
საპროცენტო შემოსავალი		-	-			
სულ შემოსავლები		398,340	1,162,049			
ხარჯები						
შრომის ანაზღაურება	395,542	166,190	395,390		1,348	N4
პროექტის აქტივობის ხარჯი	262,745	113,770	226,693			
შესყიდვები	541,713	269,471	483,678			
სულ ხარჯი	1,200,000	549,431	1,105,761			N3
ფულის საბოლოო ნაშთი	-	56,288	56,288		1,348	N4

USAID-ისგან მიღებული დაფინანსების „ხარჯების ანგარიშგების“ ახსნა-
განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1: სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც იყენებს
სააგენტო USAID-ისგან მიღებული დაფინანსების „ხარჯების ანგარიშგების“
მომზადების დროს:

**ა. USAID-ისგან მიღებული დაფინანსების „ხარჯების ანგარიშგების“ მომზადების
საფუძვლები**

სურსათის ეროვნულ სააგენტო ფლობს სახაზინო ანგარიშს სადაც აისახება
პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსება და გაწეული ხარჯები.
პროექტის ფარგლებში მიღებული მთლიანი დაფინანსება და გაწეული ხარჯები
ასახულია „ხარჯების ანგარიშგებაში“, რომელიც აუდიტირებულია 2023 წლის 1
აპრილს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ბ. ბიუჯეტის მომზადების საფუძვლები

„ხარჯების ანგარიშგებაში“ წარმოდგენილი შეთანხმებული ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია შეესაბამება USAID-ის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს. აღნიშნული ბიუჯეტი წარმოდგენილია აშშ დოლარში.

გ. კონვერტაცია აშშ დოლარში

აუდიტორებისთვის წარდგენილი „ხარჯების ანგარიშგება“ მომზადებულია აშშ დოლარში. გამოთვლებისთვის გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი აშშ დოლარის და ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედია სურსათის ეროვნული სააგენტოს საბაზინო ანგარიშზე USAID-ის მიერ გადმორიცხული თანხების ასახვის დღის მდგომარეობით.

შენიშვნა 2: USAID-ისგან მიღებული შემოსავლები

2021 წლის 2 თებერვლიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, სააგენტომ USAID-ისგან მიიღო 1,162,049 აშშ დოლარის დაფინანსება, რისი ეკვივალენტიც 3,459,248 ლარს შეადგენს. აღნიშნულ თანხების ჩარიცხვებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

თარიღი	USAID-დან მიღებული დაფინანსება	ლარი	აშშ დოლარი
24.03.2021	მიღებული ავანსი - მარტი 2021	118,013	35,000
13.05.2021	მიღებული ავანსი - მაისი 2021	50,969	15,000
09.06.2021	მიღებული ავანსი - ივნისი 2021	298,355	93,120
27.07.2021	მიღებული ავანსი - ივლისი 2021	219,190	70,588
09.09.2021	მიღებული ავანსი - სექტემბერი 2021	311,400	100,000
04.11.2021	მიღებული ავანსი - ნოემბერი 2021	316,220	100,000
16.12.2021	მიღებული ავანსი - დეკემბერი 2021	309,140	100,000
25.01.2022	მიღებული ავანსი - იანვარი 2022	153,480	50,000
31.03.2022	მიღებული ავანსი - მარტი 2022	617,920	200,000
18.08.2022	მიღებული ავანსი - აგვისტო 2022	187,717	66,329
05.12.2022	მიღებული ავანსი - დეკემბერი 2022	457,932	169,964
10.03.2023	მიღებული ავანსი - მარტი 2023	418,912	162,048
სულ USAID-სგან მიღებული დაფინანსება		3,459,248	1,162,049

შენიშვნა 3: გაწეული ხარჯები და ავანსის შემცირება

2021 წლის 2 თებერვლიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, სააგენტომ ჯამურად გაწია 1,105,761 აშშ დოლარის ხარჯი, რისი ეკვივალენტიც 3,296,821 ლარს შეადგენს. შესაბამისად, აღნიშნული თანხით შემცირდა მიღებული ავანსების ნაშთი.

შენიშვნა 4: რეკონსილაციასთან დაკავშირებული საკითხი

„ხარჯების ანგარიშგებაში“ არ არის ასახული პროექტის ფარგლებში დასაქმებული რეზიდენტი მრჩეველისთვის ზედმეტად ანაზღაურებული ოქტომბრის თვის ხელფასის ხარჯი 1,348 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა ასევე არ არის გათვალისწინებული USAID-ისთვის წარდგენილ წლიურ ფინანსურ ანგარიშსა და „ხარჯების ანგარიშგებაში“. შესაბამისად, USAID-

ისტვის წარდგენილ წლიურ ფინანსურ ანგარიშსა და „ხარჯების ანგარიშგებაში“ ფულის ნაშთი ზედმეტად არის წარდგენილი 1,384 აშშ დოლარის ოდენობით.

ინფორმაცია სააგენტოს მიერ განხორციელებული ფინანსური წვლილის შესახებ

ინფორმაცია 2021 წლის 2 თებერვლიდან 2023 წლის 1 აპრილამდე პერიოდში სააგენტოს მიერ განხორციელებული ფინანსური წვლილის შესახებ აშშ დოლარში:

მუხლი	შეთანხმებული ფინანსური წვლილი	ფაქტობრივი ფინანსური წვლილი 02/02/2021 - 01/04/2022	ფაქტობრივი ფინანსური წვლილი 01/04/2022 - 01/04/2023	მთლიანი ფაქტობრივი წვლილი 02/02/2021 - 01/04/23	არანებადართული	დოკუმენტაციის არ მქონე	შენიშვნები
მავნებლების კონტროლის ღონისძიებები ¹⁵	522,855	878,956	-	878,956			
შრომის ანაზღაურება	47,800	65,422	829	66,251			
ლაბორატორიული ანალიზები	60,575	-	39,299	39,299			
სხვა ხარჯები	15,020	18,848	2,458	21,306			
სულ	646,250	963,226	42,586	1,005,812			

სააგენტოს მიერ განხორციელებული ფინანსური წვლილის შესახებ ცხრილის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1:

ა. გაცვლითი კურსი

ქართული მხარის მიერ განხორციელებული ფინანსური წვლილის შესახებ ინფორმაცია მომზადებულია აშშ დოლარში. გამოთვლებისთვის გამოიყენება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი აშშ დოლარის და ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედია სურსათის ეროვნული სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე USAID-ის მიერ გადმორიცხული თანხების ასახვის დღის მდგომარეობით.

ბ. სააგენტოს წვლილი (In-Kind Contributions)

პროექტის განხორციელების წერილით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, სააგენტომ პროექტის მიზნების მისაღწევად შეიტანა შესაბამისი წვლილი (In-kind contributions).

შენიშვნა 2: განხორციელებული შენატანების ნაკლებობა/სიჭარბე

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა ფინანსური წვლილის შეტანა ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი ოდენობით. 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სააგენტოს მიერ განხორციელებულმა ფინანსურმა წვლილმა დაგეგმილ ბიუჯეტს გადააჭარბა 56%-ით. ქვემოთ მოცემული ცხრილი

¹⁵ პესტიციდები, ინვენტარი, ტრანსპორტირება, კონტრაქტორების ანაზღაურება.

გვიჩვენებს სააგენტოს მიერ განხორციელებული ფინანსური წვლილის შედარებას დაგეგმილ ბიუჯეტთან:

მუხლი	შეთანხმებული ფინანსური წვლილი	მთლიანი ფაქტობრივი წვლილი 02/02/2021 - 01/04/2023	%
მავნებლების კონტროლის ლონისძიებები	522,855	878,956	68%
შრომის ანაზღაურება	47,800	66,251	39%
ლაბორატორიული ანალიზები	60,575	39,299	-35%
სხვა ხარჯები	15,020	21,306	42%
სულ	646,250	1,005,812	56%

შენიშვნა 3: სააგენტოს მიერ განხორციელებული წვლილის შეფასება

მიმოვიხილეთ სააგენტოს მიერ განხორციელებული ფინანსური წვლილის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეტანილი თანხების დასადასტურებლად. პროცედურის შედეგად არ გამოვლენილა ფაქტები, რომლებიც მიუთითებდა წარდგენილ ინფორმაციაში უზუსტობების არსებობაზე.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://aris.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული
ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE